ოქმი:**ო63. 6325204001**
თარიღი:**23/07/2025**

**სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**რიგგარეშე სხდომის**

**ო ქ მ ი N 7**

**ქ. სამტრედია. 18 ივლისი, 2025 წელი.**

2025 წლის 18 ივლისს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის, ვაჟა სტურუას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

***სხდომას ესწრებოდნენ:*** ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, ვალერიანე ფოცხვერია, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ტარიელ ცომაია, ირაკლი მელაშვილი, ტარიელ დვალიშვილი, ზაზა ადეიშვილი, დავით ჯანელიძე, გოჩა არველაძე, პაატა კოხრეიძე, ჯონი თევზაძე, ლიზა კრავეიშვილი, ჯონი ახობაძე, მაია ტალაბაძე, ბადრი შენგელია, ლელა ჩორგოლაშვილი, გრიგოლ ჩიგოგიძე, როლანდ ეცადეიშვილი, კობა ძიძიგური, დავით ნიკოლეიშვილი, აკაკი მინაშვილი, მარიამ ბარბაქაძე, ლაშა გრიგოლია.

**ასევე სხდომას ესწრებოდნენ:**

1. პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი, ნორა იანიკოვი.

2. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში - ნატო ჯულაყიძე.

3. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხებში - თამილა კეკელიძე.

4. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი''-ს წარმომადგენელი, ნათია იობაძე.

5. შპს ,,სამტრედიის მაცნე''-ს ჟურნალისტი - თეა ბაბუნაშვილი.

6. ტელეკომპანია ,,ზარი''-ს წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 18 ივლისის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის ,,ბ.ი'' ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად განიხილა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 18 ივლისის რიგგარეშე

სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი და

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

**1.** დამტკიცდეს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 18 ივლისის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი:

1. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2025 წელს განსახორციელებელი 9 ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონების შესახებ.

**/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/**

2. **სხვადასხვა.**

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25-მა წევრმა.

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად (25 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 18 ივლისის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ''.

საპატაიო მიზეზით სხდომა დატოვა საკრებულოს წევრმა, კობა ძიძიგურმა.

***დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2025 წელს განსახორციელებელი 9 ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონების შესახებ.

საკითხი განიხილა საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2025 წელს განსახორციელებელი **9 ინფრასტრუქტურული** პროექტი (დანართი №1 თან ერთვის).

**დანართი №1**

**საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად,**

**სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2025 წელს განსახორციელებელი 9 ინფრასტრუქტურული პროექტის შესახებ**

| | **პროექტის დასახელება** | **პროექტის ღირებულება (ლარი)** | | | **პროექტის შესასრულებელი ვადები** | | **შენი შვნა** |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **№** | | **მ.შ. თანადაფინანსება** | **(რეგიონალური ფონდიდან მოთხოვნილი თანხა)** | **სულ** | **დაწყება** | **დასრულება** | |
| | 1 | 2 | 3 | | 4 | 5 | 6 |
| 1 | ქ. სამტრედიაში ვასაძის ქუჩაზე | 4,871.00 | 92,543.00 | 97,414.00 | აგვისტო | ოქტომბე | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა | | | | | რი | |
| **2** | **სოფ. ნაბაკევში მინი სტადიონის მოწყობა** | **9,684,00** | **183,993.00** | **193,677.00** | **აგვისტო** | **ოქტომბერი** | |
| 3 | გომის ადმ. ერთეულში სოფ. მთისძირში სტადიონის მოწყობა | 7,740.00 | 147,044.00 | 154,784.00 | აგვისტო | ოქტომბერი | |
| 4 | სამტრედიაში ე.წ. ,,ნახალოვკის'' დასახლებაში სანიაღვრე არხების მოწყობა | 8,190.00 | 155, 603.00 | 163,793.00 | აგვისტო | ოქტომბერი | |
| 5 | ქ. სამტრედიაში, ხორავას ქუჩაზე ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა | | | 185,944.00 | აგვისტო | ოქტომბერი | |
| 6 | ამირან კალაძის მე-4 ჩიხში სპორტული მოედნის მოწყობა | 4,841.00 | 91,970.00 | 96,811.00 | აგვისტო | ოქტომბერი | |
| 7 | გრიბოედოვის ქუჩიდან კეჭინარის მიმართულებით ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა | 10,000.00 | 190,000.00 | 200,000.00 | აგვისტო | ოქტომბერი | |
| 8 | სოფ. დიდი ჯიხაიშის მე-7 ქუჩაზე ასფალტ-ბეტონის საფარის დაგება | 8,653.00 | 164,402.00 | 173,055.00 | აგვისტო | ოქტომბერი | |
| 9 | სოფ. იანეთში მე-20 ქუჩის I შესახვევის მოასფალტება | 9115 | 173,167.00 | 182,282.00 | აგვისტო | ოქტომბერი | |

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა წევრმა.

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად (24 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2025 წელს განსახორციელებელი 9 ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონების შესახებ.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვა დასრულებულია.

***სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე.***

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე (დროებით მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი